



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 27

ქ. თბილისი

24/01/2017

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სათათბირო ორგანოს – ტექნიკური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების
დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის,
„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების
მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო
საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის (შემდგომში- დეპარტამენტი) სათათბირო ორგანო – ტექნიკური
საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი სეთურიძე - საბჭოს თავმჯდომარე, დეპარტამენტის
თავმჯდომარე;

ბ) ნუგზარ გასვიანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანი;

გ) გივი ჩოჩია - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ლევან კუპატაშვილი - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის ტექნიკური
სამდივნოს დირექციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ე) დავით კალაძე - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების
საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსი;

ვ) ავთანდილ გვაზავა - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო
გზების სარეაბილიტაციო პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;

ზ) გივი ამბრიაშვილი - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურის უფროსი;

თ) თენგიზ გველესიანი - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის უფროსის მოადგილე;

ი) ზურაბ ლებანიძე - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური ნებართვების სამმართველოს უფროსი;

კ) კარლო ლეკვეიშვილი - საბჭოს წევრი, საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების სამუშაოების კონტროლისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

ლ) გიორგი ერაგია - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის პროექტების მართვის სამსახურის უფროსი;

მ) ზაზა სიმონია - საბჭოს წევრი, დეპარტამენტის ტექნიკური სამდივნოს დირექციის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ნ) ლევან ვეფხვაძე - საბჭოს მდივანი, დეპარტამენტის საავტომობილო გზების ხელოვნური ნაგებობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

2. საბჭოში მოწვეულ წევრებად, სათათბირო ხმის უფლებით, მონაწილეობის მიღება ეთხოვით:

ა) გიორგი წერეთელს - ადგილობრივი და შიდასახელმწიფოებრივი გზების მეორე პროექტის მენეჯერი;

ბ) დავით ბურდულაძეს - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საგზაო დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გ) ბორის მაისურაძეს - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დ) ტალი ტალიაშვილს - შპს - საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი ტრანსპროექტის დირექტორი;

ე) თამაზ შილაკაძეს - შპს - საქ გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი საქგზამეცნიერების დირექტორი;

ვ) ბიქტორ კოპალიანს - შპს - საპროექტო - საკონსულტაციო კომპანია ბითის პროექტების მთავარი ინჟინერი;

ზ) მერაბ ჯიშიაშვილს - შპს - საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექციის დირექტორი;

თ) ნებოშა გრუზინოს - უცხოური საწარმოს ფილიალის - სს „ინსტიტუტი იგ3, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში“ პროექტის მენეჯერი.

3. დამტკიცდეს საბჭოს თანადართული დებულება.

4. საბჭოს მიერ განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ დარგში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები და სპეციალისტები.

5. საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული, თანადართული დებულების შესაბამისად.

6. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სათათბირო ორგანოს -

ტექნიკური საბჭოს შექმნის თაობაზე“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 2 აგვისტოს №159 ბრძანება.

7. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

8. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 24 იანვრიდან.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე



.

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სათათბირო ორგანოს -
ტექნიკური საბჭოს დებულება**

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) ტექნიკური საბჭო (შემდგომში - ტექნიკური საბჭო) წარმოადგენს დეპარტამენტის სათათბირო ორგანოს საგზაო დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების, პროგრესული ტექნოლოგიების, კონსტრუქციების შერჩევის, სამუშაოთა წარმოების მეთოდების ძიების, ნორმატივების, სტანდარტების შემუშავება-დანერგვისა და დარგის ტექნიკური განვითარების საკითხებში.

2. ტექნიკური საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 13 იანვრის №1/5 ბრძანებით, სხვა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სათათბირო ორგანოს - ტექნიკური საბჭოს დებულების (შემდგომში - დებულება) შესაბამისად.

3. ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს დეპარტამენტის თავმჯდომარე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ტექნიკურ საბჭოს ხელმძღვანელობს ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი ტექნიკური საბჭოს სხდომაზე არ ყოფნის შემთხვევაში ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

5. ტექნიკური საბჭოს რეკომენდაციები, როგორც წესი, ძალაში შედის ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მიერ სხდომის ოქმის ხელმოწერის მომენტიდან.

6. ტექნიკური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ეგზავნებათ შესაბამის ორგანიზაციებსა და საწარმოებს სარეკომენდაციოდ.

7. ტექნიკური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს დეპარტამენტის ტექნიკური სამდივნოს დირექცია.

8. ტექნიკური საბჭოს ორგანიზაციულ უზრუნველყოფაში (გასამრავლებელი, გასაგზავნი და სხვა სამუშაოები) დეპარტამენტის ტექნიკური სამდივნოს დირექცია

დახმარებას უწევს დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების სამმართველო.

მუხლი 2. ტექნიკური საბჭოს ძირითადი საქმიანობა და ამოცანები

1. ტექნიკური საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) საავტომობილო გზების დარგში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების, საგზაო დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსზაღვრა;

ბ) სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის ტემპების ყოველმხრივი დაჩქარება;

გ) ადგილობრივი და საერთაშორისო მოწინავე ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების და გამოცდილებათა განხილვა, შეფასება მათი დანერგვის მიზნით;

დ) საგზაო სამუშაოების ტექნოლოგიების სრულყოფის, განვითარების ტემპებისა და მათი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

ე) საგზაო სამუშაოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ვ) საავტომობილო გზების დარგის სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის მიმართულებით ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთკავშირების ხელშეწყობა-განვითარება.

2. ტექნიკური საბჭო განიხილავს:

ა) მნიშვნელოვან ტექნიკურ პრობლემებს საავტომობილო გზების დარგში, განსაზღვრავს სამეცნიერო გამოკვლევების ძირითად მიმართულებებს ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გათვალისწინებით;

ბ) საცდელი, საპროექტო-სადიებო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა პროცესის გაუმჯობესების, ეფექტიანობის ამაღლების და არაპერსპექტიული და ნაკლებად ეფექტური გამოკვლევების და სამუშაოების შეწყვეტის მიზანშეწონილობის საკითხებს;

გ) საპროექტო ტექნიკურ დოკუმენტაციას (ტექნიკურ-ეკონომიკური მოსაზრებები, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება-გაანგარიშება, საინვესტიციო პროექტი, ტექნიკური პროექტი, საკონტრაქტო დოკუმენტაცია, სამუშაო პროექტი და სხვა) საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და მშენებლობის შესახებ, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემით;

დ) სახელმძღვანელო ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებს, საავტომობილო გზების პროექტების, მოვლა-შეკეთების, მოდერნიზაციის და განვითარების საკითხებში;

ე) ღონისძიებებს საგზაო პირობების, საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე, რომლებიც მიმართულია გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ;

ვ) გამოგონებებსა და ნოვატორულ წინადადებებს და მათი დანერგვის საკითხებს;

ზ) საავტომობილო გზებისა და ნაგებობების ტექნიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების მდგომარეობის საკითხებს მათი გაუმჯობესების თავლსაზრისით;

თ) გზებისა და ნაგებობების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების, რეალიზაციის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და მშენებლობის სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების და ვადების შემცირების ღონისძიებათა შემუშავება-დანერგვის საკითხებს;

ი) შესაბამისი დარგის ექსპერტების და მშენებლების შენიშვნებს გზების მოვლა-შეკეთების, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციისა და მშენებლობის პროექტებზე;

კ) დეპარტამენტის თავმჯდომარის დავალებით ცალკეულ საკითხებს.

3. რეკომენდაციას აძლევს სამუშაოებს, რომლებიც წარდგენილია სახელმწიფო და სხვა პრემიების მოსაპოვებლად, განსაკუთრებული ტექნიკური მიღწევებისათვის საგზაო დარგში.

4. ისმენს ხელმძღვანელობის ან პასუხისმგებელ პირთა მოხსენებებს, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მსვლელობასა და შესრულებაზე. შეფასებას აძლევს მათი მუშაოების შედეგებს შესაბამისი ღონისძიებების დასახვით.

5. ობიექტების მნიშვნელობიდან და ღირებულებიდან გამომდინარე რეკომენდაციას უწევს მათ განსახორციელებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

6. განსახილველი საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე რეკომენდაციას უწევს დეპარტამენტს მიღებული გადაწყვეტილების გასატარებლად.

მუხლი 3. უფლებები და მოვალეობები

1. ტექნიკურ საბჭოს უფლება აქვს:

ა) მისცეს დავალებები დეპარტამენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს მოამზადონ მასალები, შეადგინონ დასკვნები და სხვა საჭირო დოკუმენტაცია, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებთან;

ბ) განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მოიწვიოს საგზაო დარგში მომუშავე სპეციალისტები და ექსპერტები სხვა უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან;

გ) მიიღოს დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან საჭირო ცნობები, მონაცემები, დასკვნები, ნებისმიერი ხასიათის ტექნიკური ინფორმაცია და სხვა, ან ისარგებლოს დეპარტამენტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში არსებული მასალებით;

დ) ტექნიკურ საბჭოზე განხილული ტექნიკური დოკუმენტაცია დაუბრუნოს შემდგენელ ორგანიზაციას დასამუშავებლად და კორექტირებისათვის.

2. ტექნიკური საბჭოს წევრებს უფლება აქვთ:

ა) წამოაყენონ ცალკეული საკითხები და წინადადებები ტექნიკურ საბჭოზე განსახილველად;

ბ) მიიღონ მონაწილეობა ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილებათა მიღებაში, გამოთქვან თავიანთი განსხვავებული მოსაზრებები და წინადადებები;

გ) წინასწარ გაეცნონ ტექნიკურ საბჭოზე განსახილველ საკითხებს, მასალებსა და მოხსენებებს;

დ) მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია განსახილველი საკითხების ირგვლივ დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან.

3. საბჭოს წევრები ვალდებული არიან:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ ტექნიკური საბჭოს სხდომებში;

ბ) დადგენილ ვადებში შეარულონ ტექნიკური საბჭოს დავალებები;

გ) მიიღონ მონაწილეობა ტექნიკური საბჭოს სხდომაზე გასატანი საკითხების გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებაში.

მუხლი 4. საბჭოს მუშაობის წესი

1. ტექნიკური საბჭოს წევრების სხდომაზე დასწრება სავალდებულოა. ტექნიკური საბჭოს სხდომაზე ექსპერტებისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოწვევა ხდება განსახილველი საკითხების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. ტექნიკური საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. შეზღუდული მიმართულებების საკითხების განხილვა დასაშვებია ტექნიკური საბჭოს წევრთა არასრული შემადგენლობით, ამასთან ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია ობიექტური გარემოებების (ინტერესთა კონფლიქტი) არსებობისას საბჭოს სხდომაზე განსახილველად დააყენოს საკითხი წევრის ან მოწვეული წევრისთვის ტექნიკური საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლების შეჩერების შესახებ.

4. საკითხის განხილვის ორგანიზაციული ფორმა განისაზღვრება მისი ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით.

5. ტექნიკურ საბჭოზე განხილულ საკითხებზე ფორმდება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე.

6. ტექნიკურ საბჭოს ჰყავს მდივანი. ტექნიკური საბჭოს მდივანს ეკისრება საქმიანობის ანგარიშების შედგენა, საბჭოს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება, გადაწყვეტილებების შემსრულებლებისათვის მიწოდება.

7. ტექნიკური საბჭოს სხდომის მასალები ინახება მდივანთან.